

ა ზ უ მ ი ს ი

1883-1889

გ ა ზ ე თ ი ს თ ა ს ი:

«მწევემსი»	«მწევემსი» რუსული გამოცემით
12 თვეით . . . 5 მან.	12 თვეით . . . 6 მან.
6 — . . . 3 —	6 — . . . 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა
შეიძლება ამ აღნერით: ვა ხერის, ვა კომიტუ
редакциии „Мукемси“ (Пастырь).

უკვე სურატი და კორრესპონდენციები, რომელნიც
რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასახელდავათ, უცუდე
ვრცლად და გასაგებად უნდა იყენებო ავტორთაგან ხელ-
მოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება
ხან-დის-ხან შემოკლებით და შეცწორებით დაიძექდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიძექდებიან, სამი თვის განმეო-
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაეპრონოს.

სტატიები მიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და
თაღმნით დაიძექდებიან.

«მწევემსი» გამოდის თვეში თავზე, უფასო თვის თავზე მეტებს და თავზე მეტებს.

ახალი დაბრულებასი შრისტიანობის გავრცე-

ლების გზაზე აუხავეთი.

პორტეტონდენცია, რომელიც ჩენ მივიღეთ
აფხაზეთიდამ და რომელიც წინა ნომერში იყო და-
ბეჭდილი, გვაძლევს შემთხვევას გამოვსთქვათ რამო-
დენიმე სიტყვა აფხაზეთში ქრისტიანობის გაერცელე-
ბის მდგრადეობაზედ.

საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში, სადაც ჯერ კი-
დევ იბრძეიან ერთმანეთში მართლ-მაღიდებლობა და
მაჰმადის სარწმუნოება, მცხოვრებლები წარმოგვიდ-
გენენ საკვირველ ფერადობას და სიჭრელეს სარწმუ-
ნოებით: ერთსა და იმავე სახლში, ერთსა და იმავე
ოჯახში, ცოლ-ქმართა, —ძმათა და დათა შორის
თქვენ შენიშვნავთ საშინელს რელიგიურს განსხვა-
ბას, —და მართლაც ისეთ წრებში, სადაც წევრთა
აქაშირებს ღვიძლი ნათესაობა, რაღაც ნაირი მან-
ქანებით თავსდებიან ერთმანეთს შორის ქრისტიანობა
და მაჰმადიანობა. აი ქვეყანა, სადაც სამკელის სი-

უხევ ქრისტეს ყანაში მოითხოვს მუშავთა,
რომელთაც შეეძლოს დროზედ განთანაცონ სიბნე-
ლე მოსლემით სარწმუნოებისა ქრისტეს სწორების
ნათელით. მით უმეტეს ყურადღების ღირსია აფხაზე-
თი ამ მხრით, რომ იგი არის მოციქულების ქვეყანა,
რომელმაც პირებელ მოისმინა სახალება ქრისტესი
პირ-და-პირ მოციქულთ ბაგეთაგან.

ეს უკველადური კარგად ჰქონდა შეგნებული უმაღ-
ლეს მთავრობას და კიდევაც აქცევდა იგი ამ მხრით
ჯეროვანს ყურადღებას აფხაზეთს. დიდი ხანია, რაც
იქ მოღვაწეობენ ქრისტიანე მისიონერები აღსაღევ-
ნად და გასაკრელებლად მართლ-მაღიდებლობისა.
ჩენ არ დავასახელებთ შრავალ აფხაზთა, რომელნიც
მააქრისტიანა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და
რომელნიც, სამწუხაოოდ, ძალით იყვნენ გადასახლე-
ბულნი ჩათათრეთში უკანასკნელი ომის დროს რუ-
სეთსა და სათათრეთს შორის. —ჩენ უჩენებთ მხოლოდ
იმ 2000 მათმადიან აფხაზთ, რომლებიც ამ მოკლე
ხანში გააქრისტიანა ნეტარხესენებულმა ეპისკოპოსმა
გენნადიმ, რომელმაც მოკლე დროის განმაელობაში
დაუმტკიცა უკველას, რომ სიყვარული და გულ-მოდ-

გინეთ საქმის ხელის მოკიდ ებას შეუძლია შეასრულოს დიდი საქმეები და მოიტანოს უნივერსიტეტების მოღვაწეობის ასპარეზზედ. აბხაზეთის პასალი ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე უეპველად დადგება თავის წინამოადგილის გაკვალულს გზას და კიდე უფრო წარმატებით წაიყეანს მისიონერობის საქმეს აბხაზეთში.

მაგრამ ამასთანაც უნდა შევნიშნოთ, რომ მარტო მონათვლა არ კმარა უცხო სარწმუნოების აღამიანისა,—საჭიროა იგი გულითა და სულით შეიქნეს ჰერმარიტი ქრისტიანები. ხოლო ეს კი შინაგანი საქმეა და მოითხოვს დიდს დროსა და ხელშემწევა გარემოებათა და პირობათა.

ერთბაშათ შეჩვევა, შეთვისება, შეხორცება ახალი ცხოვრებისა, ახალ აზრთა, რწმუნებათა და შეხედულებათა არას გზით არ შეიძლება, მით უმეტეს რომ უველა ეს ახალი უნდა დაეტაცოს და შეგძრძოლიას დაღის ეჭვებითა და ბორძივით უველა იმ ძელ რწმუნებათა, აზრთა და შეხედულებათა, რომელნიც ძვალსა და რბილში გასჯდომია კაცს. აი ეს გარემოება მუდამ უნდა ასივდეს მისიონერთა და სცდილობდენ ყოველის მხრით, რომ ახლად მონათლულნი ჩააყენონ კარგს გარემოებაში, რათა ისინი გახდენ ჰერმარიტ ქრისტიანებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლად მონათლულები მხოლოდ სახელით იქმნებიან ქრისტიანები, ხოლო საქმით კი დარჩებიან სიბრძელეში წინააღლელი სარწმუნოებისა, ანუ, თუ მარჯვე შემთხვევა ნახეს, დაუბრუნდებიან ძველს სარწმუნოებას.

და ამას ცხადათ გვიმტკიცებს დღეს აბხაზეთი. როგორც გვაუწყებს ზემო აღნიშნული კორრეცპონდენცია აბხაზეთიდამ, მონათლულ აბხაზთ შორის ხშირად გაიგონებთ არა სასიამოვნო დროვინებასა და საყვედლებს. საქმე იმაში მოგომარეობს, რომ მაჟმალიან აფხაზთ სამხედრო ბეგარა ფულით ხდებათ და არა სამსახურით, ხოლო მონათლულნი კი უსათუოდ უნდა გავიდენ ჯარის კაცად. პირამ აალაპარაკა დღეს გაქრისტიანებული აბხაზები. ეს დიდი უპირატესობა ჰქონია მაჟმალის სარწმუნოებასთ და დიდად ნაწობენ, რომ ასეთი თავისუფლება დაპარაგეს ამ სარწმუნოების დატოვებით. ეს რომ შემცდარი შეხედულებაა აბხაზთა, —ამაზედ ბევრს ლაპარაკს საჭიროდ არა ვრაცხო; მკითხველმა უკეთელად იცის, რომ ჰერმეტერდომთა მოწვევა ჯარის კაცებად ამტკიცებს

სახელმწიფოს ნდობას მათდამი, შეადგენს დიდს პატივს და სიქადულს მათთვის.

ცხადია, რომ აფხაზნი ჯერ კიდე ვერ დამშვიდებული ქრისტიანობაში იმდენად, რომ სრულიად ხელი აიღონ ნივთიერ ანგარიშხედ. შერ-ჯერობით მთელი სურვილი გაქრისტიანებისა სტრიალებს მხოლოდ წივთიერ ანგარიშთა ფარგალში.

ბდეილად მიხედება მკითხველი, რომ ეს გარემოება ძლიერ შეაფერებს და დააბრკოლებს მისიონერობის საქმეს აფხაზეთში, სადაც ქრისტიანობის აღდგენა დაიწყო და მომდინარეობდა დღემდის დიდის წარმატებით. მაგრამ გისთვისაც კი სანატორელი, ძვირფასი და სასურველია ქრისტიანობის აღდგენა აფხაზეთში, ვისაც ცხადათ ესმის, თუ რამდენ ბედნიერებას და შეებას შეადგენს ქრისტეს სარწმუნოება აღამიანისათვის,—ის დაგვეთანხმება, რომ ეს საქმე სამხედრო საქმეს არ უნდა ენაცვალოს არას გზით. საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ არც წვალი დაიწვას და არც შამფური: ჯარის კაცთა გაწვევის საქმეც კარგად წაეიდეს და ქრისტიანობის გაურცელებასაც არა ენობს რა. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ, დროებით მაინც, მთელი აფხაზეთის მკვიდრთა-თვის ფულზედ გადაიტანონ სამხედრო ბეგარის ხდა, ან და, უველანი, სარწმუნოების გაურჩევლად, მოიწვიონ ჯარის კაცებად,—ერთი სიტყვით დაწესონ ერთ-გვარი რამ კუელასთვის და მით მოსპონ საყვედლური და დრტვინვა ხალხში. ისეთ კუთხებში, როგორიც არის აფხაზეთი ამისონა შემთხვევები ყოველთვის შესაძლოა,—და იმედია, მართებლობა მიაქციეს ამას უურადლებას და შეადგენს მათთვის რაიმე განსხვავებულს წესდებას. აფხაზეთი კი კერძოდ და დაუყონებლივ მოელის შეელას ამ საქმეში მხრუნველი მთავრობისაგან...

—

ვის შეუძლია მიიღოს გეტრიქული მოწმობა
სამართველო იმართის სინდალური კანტო-
რიდგან?

მეტრიკულ მოწმობაზა მიღება შეუძლიათ მხო-
ლოდ შემდეგ პირთა:

1) მათ, რომელნიც არიან 17 წლისა დაბადე-
ბიდამ და ნათლის-ლებიდამ და რომელნიც აპეკუნის
ხელქვეშ არ იმყოფებიან;

2) აპეკუნებს იმ ბავშვებისას, რომელთაც
შშობლები არა ჰყავთ და რომელნიც იმყოფებიან
იმათ მზრუნველობის ქვეშ, ამასთანავე აპეკუნმა უნდა
წარადგინოს მოწმობა, რომ იგი დანიშნულია აპ-
კუნად.

3) გარეშე პირს შეუძლია ითხოვოს სხვის მა-
გიერ მეტრიკული მოწმობა, მაგრამ მან უნდა წარ-
მოადგინოს კანონიერი რწმუნება და სახელობა მე-
ტრიკული მოწმობის მიღებაზე; სახოვადო რწმუნე-
ბანი სამსაჯულო და აღმინისტრული დაწესებუ-
ლებებში საქმის-წარმოების შესახებ არ აძლევენ უფ-
ლებას ითხოვონ მეტრიკული მოწმობა მარწმუნე-
ბლების მაგიერ.

და 4) მეტრიკული მოწმობანი დაბადებისა,
ნათელ-ლებისა და გარდაცვალებისა ეძლევათ შშობ-
ლებს და მეტკვიდრეებს.

ამიტომ უფლება არა აქვთ ითხოვონ მეტრი-
კული მოწმობების მიღება: არც ბაბუას თავის შეი-
ლი-შეიღების დაბადებაზე და ნათელლებაზე, არც ბიძიას
თავის ძმისწულებისათვის, არც ძმას ძმისათვის ანუ
დისათვის, თუმცა იგი არ არის მათი აპეკუნი, არც
აპეკუნებს, თუ ისინი არ წარადგენენ დამამტკიცებელ
საბუთებს, რომ იგინი დანიშნული არიან მათ
აპეკუნად.

თითოეულ თხოვნაზე მეტრიკული მოწმობის
მიღების შესახებ უნდა დაეკრას ერთი ოთხ აბაზიანი
მარკა, ერთი მარკაც თითოეული მეტრიკული მოწ-
მობისათვის. მარკები შეიძლება დაეკრას თხოვნაზე,
მაგრამ ისე კი, რომ ისინი არ დაეფარონ ერთი-
ერთმანეთს და არც ნაწერი დაფარონ თხოვნაში. რომ
მარკები არ დაიკარგონ, მთხოვნელს შეუძლია თი-
თოეულ მარკაზე ქვემოთ დაწეროს ანუ თავის
გვარი, ანუ დრო თხოვნის მიცემისა, მაგრამ მარკებს
არ უნდა წაუსვას ხახები. ხაზ წასმული მარკები არ

მიიღებიან და მათ მაგიერ მთხოვნელთ მოეგხვევებათ
ახალი მ.რ.კები. თხოვნაში სისწორით უნდა იყოს
ნაჩენები: წელი, თვე, დრო დაბადებისა და ნათელ-
ლებისა და სახელი იმა პირისა, რომლისათვისაც
ითხოვება მოწმობა, სახელები, მაშის სახელები და
გვარი მ მობელთა, ეკულესია, რომელშიაც შესრუ-
ლებულა ნათლისლება და მასთან მოხსენებული უნდა
იყოს, რომ იგი ჩაწერილია მეტრიკაში, რომელ სტა-
ტიის ქვეშ, ანუ არ არის დაწერილი. სახელები პირთა
უნდა იყონ დაწერილი ისეები, რომელნიც მათ
დაერქვათ ნათლისლების დროს, რა არა ის სახელე-
ბი, რომელიც დაარქვეს მათ შემდეგში; თხოვნები,
რომლებშიაც სინამდებილით არ იქმნებიან ნაჩენები
იმ პირთა დაბადების და მონათელის დრო, რომელ-
თათვისაც ითხოვებ მოწმობათა, არ მიიღებიან.

პირს, რომელიც უკანონოდ იქმნა ჩარიცხუ-
ლი მოსაწოდებელ სიებში სამხედრო ბეგრის შესა-
რიცხულებლად, და რომლის დაბადება და მონათელა
ჩაწერილია რომელიმე ეკულესის მეტრიკის წიგნში,
უფლება აქვს ამ ეკულესის წინამდებრისაგან მიიღოს
მეტრიკული აღმოწერილობა თავის დაბადებაზე და
მონათელაზე სამხედრო დაწესებულებაში წარსაღვე-
ნად და მოსაწოდებელი სიებიდგან ამოსარიცხავად.
სეთი ამოწერილობანი სამრეველო მღვდლებმა უნდა
მისცენ სამწყსოს სიტყვეერი თხოვნით და უფასოდ
მარკის დაუკვრელად, მაგრამ უსათუოდ ამ ამოწე-
რილობათა ზედა უნდა დანიშნონ, რომ იგი ეძლევა
მას წარსაღვენებლად ამა და ამ სამხედრო დაწესებუ-
ლებაში. სეთი მოწმობები, საფუძველსა ზედა შინაგან
საქმეთა მინისტრის ამნანაგის განმარტებისა 22 იანვრი-
დება 1888-წლისა, № 192, სამხედრო დაწესებუ-
ლებათ უნდა მიიღონ ნამდეილ დამამტკიცებელ სა-
ბუთად იმ პირის დაბადებისა, რომელიც ნაჩენებია
აღმოწერილობაში. სამხედრო დაწესებულებათ არა
აქვს უფლება მოითხოვონ სინოდალური კანტორი-
საგან მიცემული მოწმობები, და თუ რაიმე საჭირო
აღმოჩნდება აღმოწერილობაში, მაშინ თავათ ამ
დაწესებულებათ უნდა მოითხოვონ სინოდალური
კანტორისაგან ხსენებული აღმოწერილობის შემოწმება,
მაგრამ ამასთან უნდა განმარტონ ისიც, თუ რაში
მდგომარეობს ეჭვი.



ეპლესის მუხასის მოხელეა და მოღვაწეობა სამუშაოთა სევა-და-სევა გვარ მდგომარეობათა და საჭიროებათა მიხედვით. *)

მრავალ გვარი არიან სამწესოთა საჭიროებანი და მდგომარეობანი, რომელიც სულიერი მწერებისაგან ითხოვნ მრავალ-ფეროვან მჩრუნველობას. შეელა ამ საჭიროებათა და მდგომარეობათა აქ ჩამოთვლა ყოვლად მიუხერხებელია, ამიტომ ჩვენ თანამოძებთა ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ უმთავრეს მათგანზე და ამავე დროს, შეძლებისა და გვარ, ავლნიშნავთ, თუ რა მდგომარეობის და საჭიროების დროს რა ზრუნვა უნდა გამოიჩინოს მდვდელმა, თუ კი ის აღჭურვილია თავის სამწესოს სიცვარულით.

1) ეპლესის მწერების აგადმეოფის სარეცეფთან.

ავადმყოფი თავისი მდგომარეობით, თავის მწუხარებით და ხშირად თავისი ულონოებითა თანაგრძნობის ღირსნი ხდებიან ყოველი კაცისაგან, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაკარგვია კაცობრიული გრძნობა. განსაკუთრებით ავადმყოფის მდგომარეობა აწერებს მის მშობელთ და ნათესავთ, მაგრამ ეკლესის მწერებს ყველაზეც მომეტებულად შეშვერის მჩრუნველობა გაუწიოს ავადმყოფს თუ არა კანონის მოთხოვნილების ძალით, იმ სიყვარულისა გამო მაინც, რომელსაც ის უნდა გრძნობდეს თავის სამწესოს თითოეული წევრისადმი.

ავადმყოფის ნახეას ძეელიდგანვე ვალად უდგენდენ კაცობრიობას ყველა ბრძენი, რომელთაც განმარტეს ცხოვრების კანონები. ნუ გონის მასევეგად სწერებისა, ამბობს ისო ქერაქისა, რამეთუ მათ თანა შეეგარებულ იქმნე (VII, 38). ამ სიტყვებში ნაჩენებია კანონი საზოგადო ზეობისა, რომელსაც ქრისტიანობის გარეშეც აღვნენ საუკონესო წევრინი საზოგადოებისა, და რომ სხვებიც აღრის ამ მოვალეობის აღსრულებისადმი, ზირაქი გვიხატავს იმ ჯილდოს, რომელსაც მივიღებთ ჩვენ, თუ მტკიცედ დავადგებით ამ ზეობის კანონს. ზირაქი ამბობს,

რომ ავადმყოფი შეგიყვარებენი, ვინაიდგან დაინახვენ თქვენს მათდამი კეთილ-განწყობილებას და მხრუნველობას. ახალ აღთქმაში ავადმყოფთა ნახვა დამტკიცებულია თვით უფალი ჩვენი იქცო ქრისტესაგან, რომელმაც თავის ქვეყნიური ცხოვრების ღრის ნათლად დაგვიხატა ყველის, განსაკუთრებით სულიერ მწერესთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვოროთ. მაცხოვარი დიდ მჩრუნველობას უწევდა უძლურთ და მრავალ მათგანს სასწაულებრივ ჰკურნავლა. თუ რა დიდი მიშვნელობა აქვს ავადმყოფის ნახეას, ამას ამტკიცებს ის, რომ უფალი თავის თავზე ლებულობს ყოველივე დახმარებას და შემწერობას, რასაც კი აღმოუჩენ ჩვენ გაჭირებულთ. მაცხოვარი ავადმყოფების ნახეისათვის აღუთქვამს მის აღმსარებელთ ზეციურ სასუფეველისა. მრავალ იმ საქმეთა შორის, რომელთათვისაც ქრისტეს თავეანის-მცემელი დაიმკიდრებენ სასუფეველისა, ღეთისასა, მოხსენებულია ავათმყოფების ნახეა: სწერულ ვიყავ და მომშედეთ მე. რამდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა მმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ (მათ. XXV, 36, 40). მა ძეირფასი სიტყვები მტკიცედ უნდა იყვნენ აღმტკილინი ჩვენს გულში და მათ უნდა გვაიძულონ ჩვენ ვინახულოთ ავადმყოფი და ვანუგეშოთ იგინი. თუმცა ეს სიტყვები პირ-და-პირ სულიერ მწერესთ არ შეეხებიან, მაგრამ მათთვის განსაკუთრებით ძეირფასი უნდა იყონ ეს სიტყვები. მწერებმა უნდა უჩვენოს მისდამი ჩრდილებულ სამწესოს ავადმყოფის ნახევის მაგალითი და მუდამ სინამდვილით უნდა აღარულებდეს იგი მაცხოვრის მცებათა.

სახარებაში ბერია ისეთი აღვილები, რომელნიც პირ-და-პირ შეეხებიან სულიერ მწერესთ. მა აღგილები გალად უდგენენ მწერესთ ავადმყოფების ნახეას. ჩვენ აქ სახეში გვაქეს ის აღვილები, საღაც უფალი, მოციქულების საქადაგებლად გაგზავნის წინეთ, აძლევს მათ დარიგებას და უჩვენებს, თუ რა უნდა გაკეთონ მათ. მა მინდობილებათა შორის, რომელთაც უფალი აძლევს მოწაფეებს, არის ისიც, რომ განკურნონ ავადმყოფი (მათ. X, 8). და რომელსაც ქადაქსა შეხვიდეთ, უთხრა მაცხოვრმა 70 მოწაფე, განკურნებდით მაშინა უძლურთა (ლ. X, 9). უცელისათვის ცხადია, რომ ვიღეო ავადმყოფს განკურნებდე, უნდა მონახო იგი და ინახულო. მა მოვალეობაში, რომელსაც მაცხოვარი ვალად უდგენს

*) იხ. «მწერები»-ს № 12.

მოწაფებს ქადაგების დროს, აღნიშნულია თვით მწყემსის მოვალეობაც, რადგან ეკალესის მწყემსი მოადგილენი არიან ქრისტეა მოციქულებისა, ამიტომ მათ თავის თავზე უნდა მიიღონ ის სამსახური, რომელიც პირველად უფალმა დაუწესა მოციქულებს. შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს, რომ ის მოთხოვნილება, რომელიც მაცხოვარმა მისცა მოწაფებს, იყო განსაკუთრებული. მოციქულებს მიცემული ჰქონდათ უფლება და ძალა განვიურნათ ყოველი სენი და უძლურებანი (მათ. X, 1), ვითარი ძალაც არა აქვთ ჩეველებრივ მწყემსთ. არავის არა აქვს უფლება მოითხოვს სულიერ მწყემსთაგან ის, რაც არ მიუნიჭებიათ მათთვის, და რისიც ვერ შემძლებელ არიან. საქმე იმაშია, რომ ჩვენ უურადლება და მზრუნველობა უნდა გაუწიოთ დაგრძომილთ. შრისტეს მინდობილებისა და მოციქულების მაგალითისაებრ მწყემსთა ის უნდა გააკეთონ, რაც შეუძლიათ: მათ არ უნდა დასტოუნონ ავადმყოფნი უყურადლებოდ და შეუწევნელად და რა სარგებლობას და ნაყოფს მოიტანს მათი ზრუნვა, ეს მიანდონ ღვთის განვებას. მათ სახეში უნდა ჰქონდეთ სიყვარულის მოვალეობის შესრულება, და არა სასწაულებრივი განკურნება, რასაც ასრულებდნ მოციქულები.

მოციქულებიც ხომ ყველა სწერულო ვერა ჰკურნავდენ; მათგან იღებდენ კურნებას ის ავადმყოფნი, რომელნიც რამოდენიმეთ მაინც იყენენ მომზადებულნი ღვთის მაღლის მისალებად. მეტად საგულისხმიეროა სულიერ მწყემსისათვის მაცხოვრის იგავი სამარიტელზე. იგავში ნახვენებია, რომ გზაზე იწვა ერთი საბრალო კაცი, ავაზაკებისაგან გაცარცული და დაჭრილი. უფალი გვიჩვენებს, რომ ამ გზით, სადაც იწვა ის საწყალი კაცი, გაიარა მღვდელმა, ხოლო მის შემდეგ ლევიტელმა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ მიაქცია უურადლება ამ საბრალო კაცს. მათ შემდეგ გაიარა იმავე გზით სამარიტელმა, რომელმაც დარახა დაჭრილი კაცი, შეეცოდა იგი და აღმოუჩინა მას შესაფერი შემწეობა, ურომლისოთ იგი უსათუოდ გამოეთხოვებოდა წუთის სოფელს. იგავში ტყუილად კი არ არიან მოხსენებულნი მღვდელი და ლევიტელი: ამითი უფალი ჩვენი იქსო შრისტე გვიჩვენებს, რომ მათ ყველაზე უფრო შეფრთვდათ, თავის სამსახურისაებრ, მზრუნველობა აღმოეჩინათ დაჭრილისათვის. მაგრამ მათ არ შეასრულეს თავის მოვალეობა და ამიტომ დაიმსახურეს საყვედური,

რომელიც თუმცა პირ-და-პირ არ არის მოხსენებული სახარებაში, მაგრამ ვინც კი წაიკითხავს და გაიგონებს ამ იგავს, ყველა იგრძნობს თავის გულში ამ საყვედურს. სამხილებრივი იმ პირთა, რომელიც თანამდებობისაებრ, ვალდებულნი იყენენ მზრუნველობა აღმოეჩინათ, მოხსენებულია მოწყალე სამარიტელი, რომელმაც მღვდლის და ლევიტელის ნაცვლად შემწეობა აღმოუჩინა იმ აეაღმყოფას.

ეს იგავი უნდა ახსოვდეთ სულიერ მწყემსთ, რომელთაც, თუ არ უნდათ დაიმახურონ ისეთივე საყვედური, როგორიც დაიმსახურა მღვდლელმა და ლევიტელმა, უყურადლებოდ არ უნდა დასტოუნონ თავის სამრევლოის აეაღმყოფანი.

ამავე სანის შესახებ მოციქულის მაკობის ეპისტოლებში არის ერთი ადგილი, რომელიც მოვალეობად უდგენს მღვდლებს ავადმყოფებზე მზრუნველობას: უძლეურ თუ კინმე ასე თქენ შეარის, აშბობს მოციქული, მოუწოდეს ხუცესთა ეკვლესისათა, და იღორუონ მას ზედა, და სცხან მას ზეთი სასელითა უფლისათა (იაკ. V, 14). ავადმყოფების მოსავლელად საპოვალოებაში დაყენებულნი არიან ექიმები, რომელთაც შესწავლილი აქვთ ექიმობა და შესაფერ შემწეობას აძლევენ ავადმყოფთ, ამიტომ ავადმყოფობის დროს იწვევენ ექიმთ, რომ სწერულთ შემწეობა აღმოუჩინონ. ამ ექიმებთან ერთად აყენებს მოციქული ეკვლების მწყემსთა და მათზე სდებს იმავე მოვალეობას, როგორიც სდებს პირველებზე. მოციქული მარტო სულიერ მწყემსთ ისხსნიებს და ყველას ამცნებს, რომ ავადმყოფობის დროს ამ სულიერ მწყემსთ მიმართონ. და ღორცვამან სარწმუნოებისამან, ამბობს მოციქული, აცხავენ სწერული იგი და ადადგინოს იგი უფალას; დაღაცათუ ცოდვა რაიმე ექმნეს, მიეტევოს მას (V, 15). მოციქული უჩვენებს, რომ სულიერ მწყემსთაგან სწერული მიიღებს ორნაირ კურნებას: გაიკურნება სწერულებისაგან და მასთან მიეტევებიან მას ცოდვები, რომელნიც უმთავრესნი მიზეზნი არიან სწერულებათა. ერთსა და იგივე დროს კაცი იღებს ხორციელ-სულიერ კურნებას. მოციქულის სიტყვებიდგან სხანს, რომ ეკვლების მწყემსნი არიან უმთავრესნი პირნი, რომელთაგან სწერულნი უნდა მოელოდენ მზრუნველობას და შემწეობას. მწყემსთაც არ შეუძლიათ ფარიყონ, რომ ეს სამსახური შედას მათ მოვალეობაში, რომელსაც ეკვლების ადგებს მათ კი სერჩე. ამიტომ მოციქულებიდამ დაწყებული დღემდე

იწვევენ ავად-მყოფებთან მწყემსთ არა მარტო ჩეკულებისა გამო, არამედ იმიტომ რომ ისინი დავალებულნი არიან ეკკლესიისაგან მივიღნენ ავად-მყოფთან, ან უფშონ ისინი, აღმოუჩინონ შესაფერი შემწოდა, აღუსრულონ მათ ის სამსახური, რომელიც მათ ჩაბარა ღმერთმა და ეკკლესიამ მათი მღვდლად ხელდასხმის დროს.

მმსახურის სოფ. შინამძლვარისათ-კარში.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობა ექსარხოსი საქართველოსი, ჰალლადი, და ეპისკოპოსი ბლექსანდრე 27 თიბათებს ბრძანდებოდნენ სოფელ წინამღვარიანთ-კარში და დაქარიზენ იმ შეგირდების გამოცდას, რომელთაც წელს სწავლა დასრულებს იქაუჩს სასოფლო. მეურნეობის სკოლაში. ცხენოსანი თავად აზნაურობა საგურამო ველისა და გლეხობა მიეგება. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობას სოფლის მამულების ბოლოს და იქიდგან სკოლის ეკკლესიამდე გამოაცილა, საცა მაზრის უფროოსი და მრავალი ხალხი, ქალი თუ კაცი, ექსარხოსის მობრძანებას ელოდებოდა.

ეკკლესის კარი წითელის მაუდით იყო მოფენილი და კარს წინ აქეთ და იქით იყენენ გამწერივებულნი სასოფლო. მეურნეობის სკოლის შეგირდები. ეკკლესიაში-კი უცდიდნენ სკოლის მგალობლები თავის ლოტბარით-მასწავლებლით. თვით ეგზარხოსს ეკკლესის ეზოში მიეგება საღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი გ. ასათიანი და მოასენა რუსულად სიტყვა. შემდეგ ეგზარხოსმა ასხურა აიაზმის წყალი ხალხს, გადასწერა ჯვარი და შებრძანდა ეკკლესიაში, საცა ხორომი იგრიალა. ეგზარხოსი შევიდა საკურთხეველში. მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი და პარაკლის შემდეგ ეგზარხოსი საკურთხეველიდამ ჯერით გამობრძანდა და ხალხი ჯვარს ემთხვია. ექსარხოსმა ხალხს ჯერები, გულის ხატები და წიგნები დაურიგა. ეკკლესიდან შეგირდების საღურაში წაბრძანდა. წინ მიუძღვდნენ მგალობლები და უკან ხალხი მიჰყებოდა. შემდეგ შემოუარა გარშემო ეკკლესიას, რომელიც ახლად შენდება სოფ. წინამღვრიანთ-კარში. აქედამ ისევ გალობით მიბრძანდა

სკოლაში; სკოლის შესავალ კარების წინ მწერივად იდგა საგურამოს ველის თავად-აზნაურობა. ექსარხოსმა დალოცა ისინი და მაღლობა უთხერა დაცვედრისთვის. სკოლის დარბაზში მეორედ პარაკლისი გადაიხდეს და შემდეგ ეგზარხოსი კლასში შებრძანდა. საღაც მოხდა შეგირდების გამოცდა.

გამოცდამ ფრიად სასიამოენო შთაბეჭდილება მოახდინა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობაზე. ზამოსცადა ნ. ანდრონიკაშვილი თ. მეგრელიშვილი, გ. ნახუცარიშვი და ა. თურქაძე. ანდრონიკაშვილისა და ნახუცარიშვის დაუსვე ხუთ-ხუთი, მეგრელიშვილს თოხ-ნახევრანი და თურქაძეს ოთხი. შემდეგ ანდრონიკაშვილი და ნახუცარიშვი გამოსცადეს რუსულ ენაში. მათ არივემ მიიღეს ხუთ-ხუთი. შემდეგ ეგზარხოსმა ჰაზარა ის ოთახი, საცა ყმაწვილებს აბრე-შუმის შინა მოეშენებიათ, სახელოსნო და შეგირდების ნამუშევარი ფერმა და საფუტკრე.

ეგზარხოსმა თავისი შთაბეჭდილება ასე ჩასწერა წიგნში: «სასოფლო მეურნეობის სკოლა 27 თიბათვეს 1889 წელს ვიზილე და ვარ სრულიად კმაყოფილი სკოლის ყოფა-მღვდელმარეობითა და შეგირდების პასუხით. შეგირდები ქართულსა და რუსულს ენაზე ჩინებულად იძლეოდნენ პასუხს. მზრუნველი სკოლისა ილია ივანეს ძე წინამღვრიშვილი ლირსია დიდის ქებისა და გულითადის მაღლობისა. საღმრთო სჯულის მასწავლებელიც ლირსია მოწონებისა.»

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დასწერა: «შევირდების პასუხმა აღტაცებაში მომიყენა, როდესაც იმათ ეგზარხოსი სცდიდა.»

დირექტორმა დარსკიმ-კი ჩასწერა: «27-ს თიბათვეს ამა წლისას დაევსწარ იმ შეგირდების გამოცდას, რომელიც წელს ასრულებენ სწავლას. მე კმაყოფილი ვარ შეგირდების პასუხით. აღმოჩნდა, რომ მზრუნვლელს სკოლისას ი. წინამღვრიშვილს და მასწავლებელთ დიდის სიკერულითა და კეთილ-სინდისიერებით შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა.»

ხოროს გალობამ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობა ისე ასიამოენა, რომ ეგსარხოსმა წარმოსთვეა: «მე არსად სასოფლო სკოლაში ამისთანა ლმობიერი გალობა არ მომისმენია.» ხოროს შეგირდებსა და იმათ ამხანაგებს ფული აჩუქა და დარიგა ყველა მოსწავლენი.

მეორე დღეს დასრულდა გამოცდა ყველა შეგირდებისა სამს კლასში. 47 მოსწავლენი ყველანი გა-



დავითენ ერთის კლასიდამ მეორე კლასში, გარდა ორისა.

შეგრძებს, ხელოსნობის მასწავლებელის თაოსნობით, გაუკეთებიათ პავიანის სამეცნიერო გამოფენისთვის სალექტავი და ბზის მოსამზადებელი იარაღები. წელს პირველ სექტემბერს, შესრულდება ექვსი წელი, რაც სკოლა დარსდა, და, კანონის მაღის, სრულდება ი. წინამდებრიშეილის მოვალეობა, როგორც მზრუნველისა. უნდა საზოგადოებამ ამოიჩინოს სხვა მზრუნველი ნაცელად წინამდებრიშეილისა, რომელიც უკვე სტუვებს მზრუნველობას. მან სახალხოდ წარმოსთვეა, რომ ეხლა, როდესაც განხორციელდა საქმე, დროაო საზოგადოებამ ჩაიმაროს ეს სკოლა და თეითონ იკისროს მზრუნველობა. საზოგადო საქმეო, სთქა ბ. ნმა მზრუნველმა, ერთის კაცის მეცადინეობით თავს ვერ იჩენს, თავიც რომ ზედ გადაკლასო, თუ თეით მთელი საზოგადოება მჩართველი არ იქნება ამ საქმისათ.

(«იგერა»).



საქართველო-სამრევლო სამზარეულოს დასრულების სამართლებულო დასრულების დასრულებისთვის.

ივნისის თვის 11 თელავის საკრებულო მკლების ეზოში იყო დანიშნული არა ჩვეულებრივი კრება სხენებული ეკალების მრევლთა. ურილობა მოხდა მღელის მ. ი. შიუკოვის მეცადინეობით. მა სულიერ მწყემს ფრიად დიდი შემწეობა აღმოუჩინა თელავის მაზრის უფროსმა, პატივცემულმა თავადმა ნიკოლოზ ზალის ძემ ჩოლოებიშეილმა. ჭირვის გათავების შემდეგ საკრებულო ეკალების მრევლი შეიკრიბნენ ტაძრის გალავანში. პრებაზე მობრძანდა მაზრის უფროსი ნიკოლოზ ზალისძე ჩოლოებიშეილი სამღებელო და წარჩინებულ პირებთან ერთად. თითოეული წევრი საზოგადოებისა მოქლოდა რაღაც ახალს. მრევლს შეტყობილი არა ჰქონდა კრების აზრი. მაზრის უფროსმა დაუწყო

ჩვეულებრივი ტებილი ბასი მრევლს: «ჩეენი საკრებულო ეკალებისა, ბრძანა ნ. ზ. ჩ. ჩოლოებიშეილმა, როგორც თქვენც კარგად ხედავთ, დიდი ხანია, რაც მოკლებულია წესიერს მოწყობილებასა და მორთულობას და დიდ სიღარიბეშია. ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, როგორც ერთი წევრი ამ ეკალების მრევლისა, რომ დღეიდგან ეს ტაძარი დაგაყენოთ ჯეროვანს წესზედ და, შეძლებისა და გვარად, ვეცადოთ შევასოთ ყოველივე მისი ნაკლულევანება. მე გთხოვთ პირველად აღმოიჩინოთ ამ ეკალების სტაროსტა, რომელიც თავისი ყოფა-ქცევით შესაფერი იყოს წმ. ეკალებისა. მს აზრი ერთ ხმად იქმნა მიღებული. მრევლმა სატაროსტად დანიშნა თელავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად ყოფილი ნადევარნი სოეცტნიკი პლატონ დიმიტრის ძე ტარიელოვი, რომელმაც კიდეც იტეირთა ეს თანამდებობა.

სტაროსტის აღმორჩევის შემდეგ მაზრის უფროსმა ხელიახლად მიმართა მრევლს შემდეგი სიტყვებით: «ამ თან კეირის წინად, როდესაც ჩეენი ეკალების მღვე. იოანნე შიუკოვი იყო ქ. თბილისში, დიდად პატივცემულს საქართველოს ექსარხოს პალლადის ებრძანებინა მ. შიუკოვისთვის თელავის საკრებულო ეკალებისთან საცეკლესიო-სამზარეულო სამზრუნველოს დაარსება. მ. შიუკოვს მიეცა ალთქმა მათი მეუფებისათვის საქართველოს ექსარხოს პალლადისთვის, რომ იგი ეცდება მათი მეუფების განზრახეა სისრულეში მოიყენოს. ამ ამ საგანზე მოსალაპარაკებლად ხართ თქვენ დღეს აქ შექრებილნი, ბაჟონებო! უნდა მოგახსენოთ, რომ ის დაწესებულება, რო მლის განხორციელება უბრძანებია საქართველოს ექსარხოს პალლადის ჩეენი მოძღვრის მ. შიუკოვი-სათვის, არის ფრიად სასარგებლო ეკალებისათვის, სამღებელოთათვის და განსაკუთრებით მრევლთათვის, პირველად მისთვის, რომ ამით დაყარდება მრევლთა და მოძღვართა შორის ძმური კავშირი; მეორედ მისთვის, რომ ზრუნვა და მეცადინეობა სასარგებლოდ ეკალებისა სასულიერო წოდებისა და თვით მრევლთათვის გადიქცევა სავალდებულოდ არა მარტო

მღვდელთათვის, რომელნიც შეუწევნელად თვისთა მრეველთა ვერ ასრულებდნენ აქამდე იმ წმიდა მოვალეობას, რაიცა აძევთ მათ კისერზედ. თუ ჩეენ მოვინდო-მებთ და ამჩენ კეთილ განზრახვას შევასრულებთ, დარწმუნებული უნდა იყენეთ ყველანი, რომ ჩეენ ზე ერ-ბრივის, სარწმუნოებრივის და სწავლა-განათლების მხრით გავაფართოვებთ ასპარეზს: ჩეენი მამა-პაპანი სულდგმულობრივ და ბელნიერებასაც იძენდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკვლესია. სარწმუნოება და სასულიერო წოდება იყო აღყვავებული და მტკიცე და წესიერს ნიაღვზედ იყო დამყარებული!» შემდეგ ბატონი მაზრის უფროსისა მღვ. შიუკოვა მიმართა მრევლს შემდევის მოკლე სიტყვითა: «პატიცემულო კრებავ! მე, თქვენ სულიერს მოძღვარს, მსურს დღეს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა დასამატებლად იმ სი-სიტყვებისა, რომელიც მოისმინეთ ამ ფამად ჩეენგნით პატიცემულის ნიკოლოზ ზალისძისაგან. მიზეზი, რისთვისაც შევიკრიბენით ამ წმიდა ეკვლესის ეზო-ში, ცხადად სჩანს პატიცემულის მაზრის უფროსის სიტყვიდამა, ე. ი. დღეს ჩეენ შევიკრიბენით ამოვირჩიოთ ჩვენი ეკვლესის სტაროსტა და სამჩრეველო სამზრუნველოს წევრნი. მს დაწესებულება თუმცა დამტკიცებულია უმა-ლლების ბრძანებით 1864 წელს, მაგრამ მხოლოდ დღეს შედის მოქმედებაში და ფუძნდება ჩეენის ქვეყნის საეკვლესიო ნიაღვზე მისი მაღალ ყოველად უსამ-დედელოესობის საქართველოს ექსარხოს პალლა-ლის მეცადინებით, რომელიც დაუღალეად ზრუნავს და იღწის საქართველოს ეკვლესის, სასულიერო წოდების და სამწეოს საკეთილდღეოდ. პატივი და დიდება საქართველოს ერისგან ახლანდელს ჩეენს მწყმესთ-მთავარს, საქართველოს ექსარხოს პალლა-ლის; იმედია, რომ ჩეენი საეკვლესიო ისტორია არ დაიღიწებს მათი მცუფების მრავალ-მი შენელოვანს მოქმედებასა.

უკეთ კაცთა საზოგადოება, სადაც უნდა იყოს იგი და რა გვარიც, დიდი იყოს თუ პატარა, რომლის წევრთა შორის ყოველთვის სუფეს კეთილ-განწყობილება, დამყარებულია პატიოსნური და გონიერი კავშირი, არის ბელნიერი. რისთვის? მისთვის, რომ ამისთანა საზოგადოების წევრთა შორის დამყარებულია ქრისტიანობრივი ურთიერთობრივის სიყვარული; ხოლო სადაც არს სიყვარული, იქ არა აქეს აღვილი ბორო-ტებას, რამოდენათაც მათ შორის სუფეს კეთილნი სათნოებანი: ქრისტი და ობოლნი შეწყნარებულ

არიან, საწყალნი და უძლურნი ნუგეშ-ცემულ ერთი სიტყვით მდიდარნი და ლარიბნი, თავადნი და გლეხნი, სწავლულნი და უსწავლელნი ერთბაშად კეთილდღეობით და მშეიდის ცხოვერებით სარგებლობენ; ყოველს წევრს თვალ წინა აქეს საზოგადო სიკეთე და არ ახსოეს პიროვნული სარგებლობა, რადგან საზოგადო სიკეთეში იჯულისხმება პირა-დული სარგებლობაც. თი სწორედ ამისთანა საზოგადოების დაარსებისათვის ვართ ჩეენ დღეს შეკრებილნი, ამ საზოგადოებას ეწოდგბა სამრევლო სამზრუნველო. ჩეენი საკრებულო ეკვლესის მრევლნი შევაღვენთ ერთ პატარა საზოგადოებას, რომლის წევრნი დღევანდლამდინ ვიყავით გაცალცალ-კებულნი; თითოეული წევრი ცდილობდა მხოლოდ თავის პირადის სარგებლობის მოსახვეჭათ, თავის საკუთარი დიდების და პატივის დამსახურებას, რომლი-სათვისაც სხვისი სარგებლობა, პატივი და დიდება მხად ვიყავით შევეწირა. ჩეენი სარგე-ბლობისათვისა. ამიტომ ვეცაღნეთ, რომ შევერთ-დეთ ჩეენ ყველანი იმ ქრისტიანულის სიყვარული-თა, დავამყაროთ ამიერიდგან ჩეენი საზოგადოების წევრთა შორის კეთილნი განწყობილებანი, პატიო-სნური და გონიერული კავშირი და ამასთან შეერ-თებულის ძალით ვეცაღნეთ გასამშენიერებლად ეკლესიისა, აღსაფინებლად სარწმუნოებისა, დასამ-კვიდრებლად ჩეენი პატარა საზოგადოების წევრთა შორის სასარგებლო სწავლისა და განათლებისა, რო-მელსაცა ეისურებ მოგანიჭოთ თქვენ ღმერთმან. ზახსოვდეთ, ძმანო, რომ მხოლოდ მმური კავშირით, პატიოსნურის და გონიერულის ურთიერთშორის დამო-კიდებულობით და შეურყეველის ქრისტიანულის სი-ყვარულის ნიაღვზე დაუქმნებული საზოგადოება იდლეგრძელებს და იბელნიერებს. ამასთანავე საჭიროდ ერაცხ მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ თელავის სამრევლო სამზრუნველოს თავჯდომარეთ დანიშნა თ. მაზრის უფროსი თავადი ნიკოლოზ ზალის ძე ჩოლოკა-შვილი».

მოიხსენა რა შემოხსენებულნი საუბარნი თ. ჩოლოკაშვილისა და მ. ი. შიუკოვისა საკუთ-ალო ეკვლესის მრევლმა, დიდი სიხარულით და აღტა-ცებით წესძახა: «ყოველს თქვენს ბრძანებას და ჩევვას, როგორც ჩეენ მზრუნველთა ყოველთვის აღვასრულებთ დაუყოვნებლივ და მხად ვიხმა-

როთ ყოველი ღონის ძიება, შეძლებისა-და-გვარად, შესაფეხლად იმ ნაკლულევანებათ, რომელშიაცა საჭიროებს ჩვენი ეკულესია. შემდეგ წესისაებრ შეუდვნენ სამზრუნველოს თავსჯლომარის და წევრების აღრჩევეს. თავსჯლომარედ აღირჩიეს მაზრის უფრო სი 3. ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოკაშვილი; წევრებად: დეკანოზი იერებია ხირსელოვი, გ. იოანნე შიუკავი, თავად: აზნაურია წინამდოლი 3. ჩეგაზ ვახვახვი, 3. გიორგი ვახვახვი, აზნაური მიხეილ მაჭავარიანი, აზ. ზაალ მაჭავარიანი, სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ვასილი ძიენაძე, ვასილი ზლურჯიძე, მიხეილ ზიუხელაური, ალექსანდრე მეტრეველი, დაიოთ ახვერდოვი, ლაზარე ბაბუნიძე და სოლომონ მიქაძე. წევრთა აღრჩევის შემდეგ საზოგადოებამ სოხოვა მოხსენებულ წევრთ, რომ მათ აღირჩიოს ყარაული და დაუნიშნონ ფასიც, რომლის მიმცემიც ჩვენ ვიწევითო. სტაროსტის და სამზრუნველოს წევრების აღრჩევის შესახებ შედგა განახენი, რომლებზედაც ხელი მოაწერეს თითოეულმა წევრმა. მს განახენი გაგებავნა დასამტკიცებლად საქართველოს ექვანტოსს პალლადის.

აზალი აშები და შენიშვნები.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ჩემებას წინადადება მიუცია ამ წელში ამ აკადემიაში კურს დასრულებულ-თათვის, რომ მათ შეიტანონ აკადემიის კანცელარიაში განცხადებანი, თუ ეის რომელ ეპარქიაში სურს სამსახური და მასთან ისიც უნდა განაცხადონ, თუ ეის რომელი საგანი უნდა აღირჩიოს სასწავლებლად. ჩემება ამ განცხადებათა საშუალებით იხსლებოდან ელებს კან-დიდატების სამსახურში დანიშნის დროს.

ასეთი განკარგულება აკადემიის ჩემებისა მეტად კანონიერი და ფრიად სასარგებლო იქმნება სწავლის საქმისთვის. ხშირად ისეთი საგნის მას სწავლებლად ნიშნავენ კაცს, რომელი საგანიც მას ეზიზლება და არც ხეირიანად იცის იჯი. ასეთი მასწავლებელი, რასაკვირველია, დიდ სარგებლობას ვერ მოიტანს.

